


— ტყუილია, რომ ამოგან ბაღში ქურდი
შემოიპარაო. მის მას ვერ ვხედავთ

ნახ. ნადარეიშვილის

აპრილი 1936 წ. № 7
ფანი 50 კაპ.



ზოგიერთ რაიონებში ხენა-თესვის საქმე ვერ დგას თავის სიმაღლეზე. ერთერთი მიზეზი ამისა ის არის, რომ ჯერ კიდევ ხმარობენ პრიმიტიულ იარაღებს, როგორცაა: კავი და სხვა. ტრაქტორებს კი უყურადღებოდ ექცევიან.



კავი
 „საიდან სადნ
 წმინდაო საბა“,
 მე ვარ და ჩემი
 ნიშა და ლაბა.
 რას მეტოლოები
 ვილაც ტრაქტორი?
 ხომ ხედავ, შენი
 არა ვარ სწორი.
 აქ სიყვარული
 შე დავიმიკვიდრე,
 მას არ დავითმობ,
 მოგკვდები ვიდრე.
 ხომ ხედავ მაგ შენს
 ზვინის ნაწილებს
 ვინ გინდა, რომ აქ
 არ ინაწილებო?

ტრაქტორი
 მერე და პასუხს
 მოსთხოვენ მაღე
 იცოდე ან დღეს,
 თუ არ ჩელოვ.
 აქ მე მოვსლოთვარ
 ვით იარაღი,—
 სოფელს დაურჩე.
 ყანა და ბაღი.
 შენი დახულოი
 მიწა რად ვარგა?

მე კი წუთს ტყვილად
 აქ არ დავკარგავ
 და თუ არ ესმით
 ეს აქაურებს,—
 მათ აუწყებენ
 ამისთვის ყურებს.

კავი
 ხედავ ლაპარაკს
 ჩემთან რომ ბედავს?
 დამსახურების
 ჩემსას ვერ ხედავს.
 არა, ტრაქტორი
 დროს ტყუილად კარგავს.
 აქედან გასწი,
 თორემ ავბარგავს...

ტრაქტორი
 ისტორიას შენ
 უკვე ჩებარდი,
 ალბათ მიგყვება
 სევდა და დარდი...
 მე არ მჭირდება
 კამეჩი, ხარი
 რკინის უფი მატქს
 ხელი და მხარი.
 მე ტრაქტორი ვარ,—
 ვფატრავ მიწის გულს,—
 შენ ვერ მომტაცებ
 სოფლის სიყვარულს.

კიუ—

გლოვის ზარი
 პოლონეთის ზოგიერთი დიპლომატები ხანამ უწევიათ ჩავიდოდნ ვარშავის ხელისუფლებას წარუდგებოდნ, მანამ ბერლინში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ნეირატთან თათბირობენ. ჰამბურგში თუთიყუშებს ჭირი დაერიათ. (გაზეთების ქრონიკიდან).

ხმა გავრცელდა: — „თუთიყუშებს რაღაც ჭირი დაერიათ“ და პოლონელ დიპლომატებს გზა და კვალი აერიათ. საგარეო სამინისტროს მოგვინა გლოვის ზარი და თვალთავან დიპლომატებს დაედინათ ცრემლის ღვარი. ზოგი სახეს იკაწრავდა და იგლეჯდა ზოგი წვერსა, ზოგი ცრემლით ისველებდა სახეს სისხლით შენაფერსა. ზოგს თვალეები დალურჯოდა ცრემლთა მილის დინებითა და თავის ბედს ახსენებდნენ კრულვითა და გინებითა. შემოვიდა მყის დარბაზში უცხო ვინმე კაცი ბრძენი, გაუკვირდა მათი ქცევა შესდგა ბაგე-დანაფხენი: და შეჰკადრა: ჩედავ როსხივთ შემობრუნდა თქვენთვის ცანი, რა მოგიხდათ საშინელი? ვერ მივმხვდარვარ, ვამაცანით! შეჰკალადეს — ნუ გვახსენებთ: შიშისაგან ხმა გვიწყდება! ვილუპებით, ქვეყანაზე თუთიყუშთა მოდგმა წყდება.

გაწყდეს მერე თქვენ რა გიშავთ? თქვენ რად გმართებთ მისთვის ვიში, თუნდაც მოდგმა თუთიყუშთა არიულის იყოს ჯიშის, მაინც თქვენ რა დაგაკლდებათ, თუნდ მოისპოს მოდგმა მათი, თქვეა რას კარგავთ, თქვენთვის ბედი რით განდება მუხანათი?! თუთიყუშთა მოდგმა, იცით, ცნობილია ყველგან მუდამ — მოლაყბეა, ჭკუათხელი და ბატვით ქარაფშუტა. — შენ არ იცი ჩიენი დარდი... ვაი, რაღა გვეშველება, ვილუპებით საუკუნოდ, თუთიყუშთა მოდგმა წყდება. — თქვეს და ისევ აქვითინდნენ და განცვიფრდა უფრო ბრძენი კვალად ჰკადრა, ვერ გავიგე რად გლოვ ბრიყვებს ამიხანენი... უთხრეს—გვიკვირს რომ ვერ ხედები მიზეზს ბრძენი ძველთა ძველი თუთიყუშს რომ ველარ ვნახავთ, — ვისი გავხდეთ მიმბაძველი?

მედუზა



1936 წლის
თებერვალი

ალამოა. სასადილო ოთახში ელექტრონი ციმციმებს. ჩემი ოთხივე ბავშვი სახლშია. ყველა საქმეში გართულია. მაშეკო როიალს უკრავს.

დათიკო ხატავს, აჩიკო რაღაცას სწერს.

ხოლო ვასიკოს ცირკული უჭირავს და ნახაზს ჩაპკირკიტებს. იდილიურ მყოფროებს მხოლოდ როიალის მონოტონური ხმა არღვევს. მაშეკო რაღაც ეტუიღს არჩევს, მაგრამ ეტყობა, ყალბ ხმებს იღებს და ნოტებს ერთმანეთში ურევს. ერთ შემთხვევაში „სოლს“, მეორე დაკვრავს „ლოთი“ სცვლის, „რეს“— „ფათი“, მთელ ნახევარ საათს გრძელდება ეს ამბავი. ნერვიული აჩიკო ხშირად მიბრუნდება მისკენ და უსიტყვო გაბრაზებით იჭმუნის სახელოს. შემდეგ შუბლს ისრებს და სწერს. შლის და კვლავ სწერს. აჩიკო პოეტია. ის ლექსსა სწერს. უკვირ რა რვეული აქვს გაფსებული. რაღაც ახირებული რითმები აქვს, უცნაური შედარებებით გამოხატავს წინადადებებს.

ამჟამა ფურცლისტული თუ არა, სიმბოლისტური მიდრეკილების ჯავშნია აჩიკო. — სრულებით არ ჰგავს დინჯ ვასიკოს, რომელიც თვითველ ხაზს მათემატიკურად სწავლობს და ბეჯითად მუშაობს.

მაშეკო და დათიკო განსხივდებიან ერთიმეორისაგან. მათ შორის საერთო მხოლოდ ის არის, რომ ოთხივეს ხელოვნების სხვადასხვა დარგისადმი აქვთ მიდრეკილება. საკითხებზე მათ შორის განუწყვეტილი დავაა მუდამ.

აჩიკო ამტკიცებს, რომ ხელოვნების დედაბოძი პოეზიაა.

დათიკო მხატვრობას სთვლის ასეთ დარგად.

მაშეკო მუსიკის მომხრეა.

ვასიკო კი ყველაზე მაღლა არქიტექტურას აყენებს.

— მთავარია ჩემი არქიტექტურა, ყველაფერი მისი შენაკადია, — ამტკიცებს ის, — არქიტექტურა რომ არ იყოს, მაშინ არაფერი არ იქნებოდა.

— არქიტექტორს დამიხედეთ. — ცხარედ მიუგებს აჩიკო. — შენი არქიტექტურა მითია, ბურჟსია, საქმე ჩემი პოეზიაა, — ჩემი პოეზია ყველაფერზე მთავარია.

— უკაცრავად, მთავარი ჩემი მხატვრობაა, მასში პოეზიაც შედის არქიტექტურაც, დურგლობაც და სხვაც.

— მაშ ასე ვამოდის, რომ ჩემი მუსიკა არაფერი ყოფილა? — წიწმატობს მაშეკო. — მუსიკა ადამინის სულის გამწმენდი ხელოვნებაა, იგია უმთავრესი.

ჩვეულებრივ დინჯად იწყება საუბარი.

შემდეგ ცხარე კამათის ხასიათს ღებულობს.

მერე ჩხუბში გადადის და მუდამ ტირილით და საჩივრებით თავდება ხოლმე.

ამ საღამოს ასეთი რამ არ მომხდარა. ყველა შემოქმედებითი მუშაობაშია გართული. მხოლოდ მაშეკოს ეტუიღს გამოჰყავს მოთმინებიდან აჩიკო.

„რე“ — „მი“ „რე“ — „მი“.

„მი“ — „რე“, „მი“ „რე“. — ისმის მომბებრებლად.

აჩიკო რაღაც ტაქსს შლის და შემდეგ გაბრაზებით ესვრის მაშეკოს:

— ეგ მუსიკა კი არა, სუმბურია.

მაშეკო განაგრძობს.

— სუმბურია-მეთქი, სუმბური, კლასიკური მუსიკის გაყალბებაა! — ყვირის აჩიკო.

დათიკო იკინის. ვასიკო იბღვირება.

— ჩვენ მწვავედ უნდა დავარტყათ ასეთ სუმბურს. — განაგრძობს აჩიკო.

— სუმბური შენი ლექსებია. — ეუბნება ვულმოსული მაშეკო.

დათიკო უსწორებს ნათქვამს:

— ლექსებზე სუმბური კი არ ითქმება, არამედ უნდა თქვა: ფორმალისტური დამახინჯება, ან ნატურალისტური რეციდივი.

დათიკო იკინის. აჩიკოს კი გული მოსდის და გესლიანად მიაზლის მას:

— შენი სურათები კი თხუპნიაა. შენ თხუპნია ხარ და არა მხატვარი.

ვასიკო ხარხარებს. ვულმოსული დათიკო მას მუბრუნდება და უყვირის:

შენც გასაცინი გაქვს? შენი არქიტექტურა კაკაფონიაა. უკეთესია, შენს კაკაფონიას მოუარო.

— შენი კი მანჭვა, გრებაა! — იცოდე ეს.

მაგრამ ყველაზე მეტად ისევ აჩიკო ცხარობს.

— აბა, ეს არის ფორმალისტიკაში მოკინკლავებო? აი ჩემი ლექსი, ნახე თუ აქ ნატურალისტიკის ნასახი იყოს:

ძროხა მოვწველე მე საწნახელში —

გადაიარა ცელზე გომბეშომ,

მაშასადამე, მოვა გაზაფხული,

როდესაც სწავლას ჩვენ გავათავებთ.

ლექსის გათავებას ხარხარი მოსდევს. ეს უფრო აბრაზებს აჩიკოს და მაგიდაზე ხელს არტყამს. უცბად წყლით სავსე ქიჩა იჭყვია და დათიკოს სურათი სველდება.

— სურათი, სურათი გამიფუჭა ამ დათემამ! — ღრიალებს ცრემლმორეული დათიკო.

— თათვიც ხარ და დურგვის მაიმუნაც. — ეუბნება აჩიკო თვლებში ბრიალით.

— შენ კი ზოოპარკის შიმპანზე ხარ. შიმპანზე, შიმპანზე!

ამაზე აჩიკო უფრო ბრაზდება და სამენლეს გაუქნევს. მეღნის წვეთები ეშხეფება მაშეკოს ნოტებს, ვასიკოს ნახატებს და თვით დათიკოს — სახეში. იმართება ერთიმეორეზე შიწვე-მოწვევა, ქიჩა ტყდება, მაშეკო ტირის, ვასიკო ბღავის, აჩიკო ღრიალებს, დათიკო კი კივის. ახალა კი ნამდვილად ხორციელდება.

კაკაფონიაც, (ყიჟინა),

სუმბურიც (არეული ღრიანცელი).

მანჭვა-გრებაც (მიწვევ-მოწვევა მუშტებით

თხუპნ აც (სახის) და

ნატურალისტური-რეციდივიც (მუჯლუფუნები).

ამას, მე ვეღარ ვიბუნ. გაგრძობარ ოთახში, მოჩხუბართა შუაში ვღვები და ვაზავებ, ხან ზარს ვრეკავ, ხან სიტყვას ვართმევ „მოკამათე ორატორებს“, ხან ყვირი, მაგრამ საქმეს დიდხანს არაფერი შევლის. ბოლოს ყველას კუთხეებში ვაყენებ ეს მოქმედობს მათს თავმოყვარეობაზე და სეტყვასავით მესვრიან საყვედურებს:

— რას ვიკვირს ჩვენი ჩხუბი? — მწერალთა დისპუტზე უფრო მეტს არ ჩხუბობენ ზოგიერთი პოეტები? აბა ისინი როდის დააყენეს კუთხეში? — ტირილით ამბობს აჩიკო.

— განა მუსიკოსების დისპუტზე ნაკლებად ედავებოდნ ერთმანეთს? — ზღუტუნებს მაშეკო. — როდის აუწიეს მათ ყურები?

— მხატვრების დისპუტზე ხომ გაუთავებელი შეხლა-შემოხლა იყო. აბა რომელი დატუქსეხ ამისთვის? — ბურტყუნებს დათიკო.

— არქიტექტორების შემოქმედებაზე უარესი კამათი იყო, მაგრამ კუთხეში არავინ დაუყენებიათ. — უმატებს ვასიკო.

— საიდან იციო, თქვენ? — ვაკითხები მათ.

— საიდან და ვაზეთებიდან. განა ჩვენ არ ვაკითხულობთ? განა ჩვენ მათი კარგი მაგალითი არ გვინტერესებს? ჩვენ ვკამათობთ, მაგრამ მერე აქედან დასკვნების გამოვიტანთ და ეს დაგვებარება ჩვენი შემოქმედებითი მუშაობის გადახალისებაში, — მეუბნება ვასიკო.

ამ სიტყვებზე მე ვიღიმები.

ჩემს გაღიმებას მაშეკოს სიცილი მოსდევს, რაც ბოლოს საერთო ხარხარში გადადის. ოთხივენი ერთად გროვდებიან და ერთხმად იძახიან:

— შევირგდეთ, საქმიანი კრიტიკის მაგიერ ჩხუბი ვის გაუგონია? რიგდებიან. მე ვუყურებ მათ და ვამბობ:

— რა კარგი იქნებოდა, რომ ზოგიერთ პოეტსაც შეეძლოს მათი მაგალითის აღება, როცა ის ლიტერატურის საკითხებზე გამართულ დისპუტზე საკამათოდ გამოდის.

ხლოვდება გაზაფხული, მისი მშვენიერებით. აპრილის დღეები იწყება, სუსხიანი დარია, მაგრამ წინდაწინვე გვრძობს ბუნების ზეიმის სიხლოვეს. მაგდასთან ვზივარ და სარკმელში ვიყურები. ჩემს წინ ძვეს ზმუკის გამოცემული გა-სართობი ბარათების გროვა. მის კოლოფზე ლამაზად არის მიწე-რილი:

„ყვავილნარი“
ყვავილნარი, ცნობილი გასართობია. ჩემს სიხამუკეს ბევ-რი რამ უდგება თვალწინ მოვონების სალაროდან, სახალისო დასანუკვარი. „ყვავილნარი“ ერთერთი თანამგზავრი უნდა იყოს მზიარული და საამური ცხოვრებისა.

„ყვავილნარი“ საერთოდ ისეთი წესითაა შედგენილი, რომ იქ მო-საუბრეთ სხვადასხვა ყვავილებია გამოყვანილი. ყვავილები საუბ-რობენ. ერთი ყვავილი კითხვას სვამს. მეორე უპასუხებს. ალბათ ამიტომ ეწოდება მას „ყვავილნარი“.

„ყვავილნარში“ უხვადაა გამოყენებული აფორიზმები, სხვადასხვა მოქმედი პირების სიტყვები, კლასიკოსების და თანამედროვე მწე-რალთა ნაწარმოებიდან.

ყვავილნარს ხარბად ეტანება ჩვენი ცხოვრების ყვავილნარი საბ-ჭოთა ახალგაზრდობა.

ყვავილნარის საბჭოთა პედაგოგიის საფუძველზე შედგენას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ საქ. მუკის გამოცე-მული „ყვავილნარი“ სხვაგვარად „ასრულებს“ ამ ამოცანას... რო-გორც ავლნიშნით „ყვავილნარი“ საერთოდ ისეთი წესით არის შედგენილი, რომ მის ფურცლებზე ყვავილები ერთმანეთს შორის საუბრობენ.

დე, ყვავილებმა ისაუბრონ ერთმანეთს შორის. ვინ იქნება ამის წინააღმდეგი?

დე, ყვავილებმა, როგორც უნდათ, როგორც მათ „ნება-სურ-ვილს“ შეეფერება, ისე ილალობონ, ისე გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი გულის ხვამიადი, გულის საიდუმლო, ჩვენ მათთან არა-ფერი ხელი გვაქვს.

ჩვენ არ გვიანტერესებს თუ როგორ საუბრობენ ბუნებაში ქორ-ფა ყვავილები.... მაგრამ ჩვენ დიდათ გვიანტერესებს თუ როგორ საუბრობენ „მუკის“ გამოცემულ „ყვავილნარის“ მიხედვით ჩვენი ცხოვრების ყვავილები,— ჩვენი ახალგაზრდობა.

აი როგორ საუბრობენ:

იასამანი—რას ეტრფი, რა უფრო გიყვარს?
ფათალო—ღვინო, ღელუჯი, ქალები.

„მაღაღეც“ ყვავილო! ასე თამამად და გარკვეულად თავისი აღვირახსნილობა ყვავილს კი არა გრიშვა რასაპუტინს არ გა-მოუთქვამს!

ბოდიში „ყვავილებო“,—ხელი შევიშალეთ. საუბარი შეგაწყვე-ტიეთ გააგრძელებთ!

გულისაბა—მაკმარეთ, შეტი აღარ შემიძლია.. (საწყალი)

ყაყაჩო—ჯერ გავთხოვდე და მერე შემიძლება.

გულისაბა „ობლად“ არ არის: 53 გვ-ზე შროშანაც იმავე დღეშია და იმავე სიტყვებს გაიძახის.

არც ყაყაჩოა „ობლად“ მნ გვერდზე სეინტრიც ამიებურ და-პირებას იძლევა.

ია—რა არის ადამიანის დანიშნულება?

რეშანი:—სიცოცხლის აზრი მხოლოდ სქესობრივი კავშირია.

ენდრო:—მეტს რას წაიღებ ამ წუთისოფლიდან?

მუკის „ყვავილები“ მარტო „სიყვარულის“ პრობლემის „გადაწ-ყვეტი“ არ კმაყოფილებიან და საუბარს აგრძელებენ.

—შეყვარებული ქალი და ძუ ვეფხვი ერთია—ამბობს ნარგიზი.

—ქალი და თოხარკი ცხენი ერთია: ორივეს კარგი მხედარი უნ-და უსწოროებს ზარნაშო (ისიც ყვავილია)

—თქვენი ჯიბე უფრო მდიდარია თუ გონების სალარო?—კით-ხულობს არჯაბალი.

სურვილად, ნატვრად
მეყოფა ესა
მე ვაჟი ვიყო
შენ კი პრინცესა!

ამბობს ფათალო, რომელიც სახალხო პოეტის გ. ტაბიძის შე-მოქმედებაში ასეთ „ხელოვნურად დამახინჯებულ ნაწყვეტის მტს

ვერაფერს არჩევს ისეთს, რომ პოეტის დამახასიათებელი და ახალ-გაზრდობისათვის მისაბაძი იყოს.

—სადაც წმინდა სიყვარულია იქ ცოლ-ქმრობას ადგილი არ უნდა პქონდეს.—ფილოსოფოსობს მათიტელა. რეშანი და ენდრო კი ისევ თავისას არ იშლიან და ხმაშეწყობილად გასძახიან:

—სიცოცხლის აზრი მხოლოდ სქესობრივ კავშირშია!
—მეტს რას წაიღებ ამ წუთისოფლიდან?

ასე საუბრობენ არა მარტო გაზაფხულის პირას ან მზიან ზაფ-ხულის დღეებში, არამედ მთელი წლობით მუკის მიერ 6.000 ტი-რათის რაოდენობით გამოცემული „ყვავილები“. ასევე საუბრობენ „ყვავილნარის“ მიხედვით. თავისუფალ-დროს მისი მკითხველი მა-სები, განსაკუთრებით კულტურულ გართობის უხვად მოწყურე-ბული ახალგაზრდობა.

გასართობი, კულტურული გასართობი, უთუოდ საჭიროა, მაგ-რამ ყველა ნივთს თავის სახელი უნდა ეწოდოს და ამის მიხედვით


მუკის მიერ გამოცემულ „ყვავილნარსაც“ სახელი უნდა შეეცვა-ლოს. შინაარსის მიხედვით „ყვავილნარის“ ნაცვლად მას უნდა დაერქვას ახალი, უფრო „საბატიო“ შესაფერი და დამახასიათებ-ლი სახელი.

„ს ა ლ ტ უ რ ნ ა რ ი“.

გ-ზა

ს ა ფ უ კ ე ე ლ ი

ნახ. ღონის



— ნიკო დიდ ფელეტონს წერს გუზგუზელის შემოქმედების შე-სახებ, პირდაპირ აღტაცებულია მისი თამალობით...

ფაშისტიურ საერთოებში

ნახ. მარიაშვილი

პროპაგანდის მინისტრმა გებელსმა განაცხადა, რომ რძე და ქარაქი წარბაზნებად და უუმჯობესად უნდა ვაქციოთ, ამას თხოულობს გერმანიის ინტერესები.



ორი დღე არის
პატარა ელზას
აღარ გაუკრავს
საქმლისთვის კბილი.
დაწვა მშვირი
პატარა გოგო
და ძილში ნახა
ხიზმარი ტკბილი:
ძია გებელსი
მისიდა მასთან

და დიდი ქილით
რძე მიუტანა.
ვედარ აიღო
რძე ელზამ, რადგან
მას რძის კურკურელს
არ ჰქონდა თანა.
მეორე დღეს კი,
როცა ხალხის
დახმარებლად
ეს მოეზადა—

ხამი დღის მშვირს
პატარა ელზას
უფრო შიოდა
და ჰქონდა მადა.
მან დედას უთხრა:
— მომე ფინჯანი,
ეგებ ამაღამც
მოვიდეს ძია
და რძეს ავიღებ,
იგი რძეს მომცემს,
რადგანაც გუშინ
არ მოუცია.



ნახ. დონის.

შანაგებო! დიდი ყურადღებით ვესმენ-
კამათში გამოსულ ორატორებს, რომ-
ლებიც დისკუსიის თემას ათი კილომეტრის
მანძილზეც კი არ გაპქარებიან. ხოლო ზოგი-
ერთი მათგანი, როცა თვითშეკებისაგან ექს-
ტაზში მიდიოდა, თემას მიუახლოვდებოდა
ერთ კილომეტრზე. მაგრამ როგორც კი ამას
შეამჩნევდა, მაშინვე მოგვერდს იზამდა, ცას
კამარას ჰკრავდა და გაზაფხულზე მოფრენი-
ლი მერყეალივით სიფრცეში იწყებდა ნა-
ვარდას და ჰიქტიკს. მათი საქციელი მაგონებს
ამ ავადმყოფის საქციელს, რომელსაც ჰრო-
ლობა თავში ჰქონდა, ხოლო წაბალს ფეხზე
იოიბდა. ხომ გავიგონიათ:

ლობე-ყურის ვინც ედება,
სწორ გზას იგი მუდამ ედება.
ამის შემდეგ მე მინდა მოვიყვანო ნიმუშე-
ბი ჩვენი ზოგიერთი მწერლის ნაწარმოებები-
დან (კითხულობს):

„ლუკმის გადახაყლაპავად მან პირი ვაალო,
გაღებულდი პირის ღრუში ლუკმა ჩანვლით
ისე შედვა, როგორც მებურე სდებს ხოდმე
ნიჩბით პურს ცხელ ფურნეში.“

ბიჭოს! თურმე ქამის დროს საჭირო ყოფი-
ლა პირის გაღება!

„გადაყლაპა ლუკმა, შემდეგ, კბილები რამ-
დენჯერმე გაკრა მას, რადგან ეჩქარებოდა და
ხრიალ-ხრიალით გადაუშვა ხახაში“.

აი, როგორ ესმის ავტორს ქამის პროცესი.
ჯერ საწყალ გმირს ლუკმა გადააყლაპვინა,
მერმე უკანვე დააბრუნებია კბილის გასაქრა-
ვად და ბოლოს ისეც ხახაში გადააშებინა.
რა დააშაგა ასეთი მომქმედმა პირმა, რომე-
ლიც კოლმეორნობის წევრია და რომლის
მიმართ ავტორი სიმბატიურად არის განწყო-
ბილი?

მეორე ავტორი ასე ავციწერს სოფლის და-
შეს და ამ დამეში მისი გმირის განცდებს:

„ხოფელს ეძინა. იქა-აქ ისმოდა მხოლოდ
შაღლიხა და კატის ყუფა, კნავილი. ისინი
ერთმანეთს მტრობდენ. პეტრია იჯდა ხის
ძირში. მას მზე უცხუნებდა ზურგზე, რომელ-
ხაც ნაფულათი იფხანდა“.

არის ანდაზა: უძალო სოფელში კატას



„მეც ნახირ ნახირო“

— ჩემს შესახებ დისკუსიაზე არ ყოფი-
ლა ლაპარაკი. მაშასადამე, არა მაქვს არა-
ვითარი გადახრა!

აყეფდენო. მაგრამ ეს სოფელი რამე უყლ-
უძალო? რს ერჩის საწყალ კატას, რომ ტრე-
ლივით აყეფებს? მაგრამ ყოვლის შემძლე
ავტორი. ბრძანებს და მზე და მოვარე ერთსა
და იმავე დროს ანათებენ ცაზე.

მესამე ავტორი წერს თავის ერთ ნოველო-
ში:

„დილით ჯერ მან გაიდვიძა, მერმე ადგა,
ტანსაცმელი ჩაიცვა და სამსახურში წავიდა.“

ყოველი ნორმალური ადამიანი ჯერ გაი-
ღვიძებს და მერმე ადგება. არც საცვლების
ამარა წავა სამსახურში.

მეოთხე ავტორი პირდაპირ სასწაულს ახ-
დენს:

„შეტაკების დროს ჩაფრებმა იგი ჯერ ორ-
თავე ხელში მიძიმედ დასჭრეს, შემდეგ ორ-
თავე ფეხი მოტყნეს. ერთმა ხანჯალი ჩახცა
ვლოში. მეორემ—თავი მოჰკვეთა. მაგრამ იგი
მაინც წამოდგა, მოიკრიფა ძაღლონე, ერთი
კილომეტრის მანძილზე გამოედევნა ჩაფრებს
და ახი ჩაფრიდან ოთხმოცი მოჰკლა, სამოცი
მიძიმედ დაჭრა, დანარჩენი დაიჭირა, ერთ მათ-
განს ზურგზე აეკიდა და თავი წააყვანია კა-
რავში“.

განმარტება ზედმეტია. ასეთი სასწაული
არც ზღაპრებშია და არც—საღვთო წიგნებ-
ში. ხედავთ რა გმირობას ჩადის ხელფებო-
რბილი, გულგავმირული და თავმოკვეთილი
კაცი?

ერთ თავის ლიწში პოეტი ასე წერს.

„როცა ვათენდა, მთის გადაღმა
მზე ამოვიდა
და დორის ვინის ბარკალივით
ჩამოვეიდა,
როგორც ჯინჯილს გენერალის
ვინმე ბითურის
კაკრას ისეთი მქონდა ფიჩხი
იმას წითური.“

ღიახ, კარგია დორის ბარკალი („ვიჩინა“),
გრირლობიც გაბითურებული არიან, მაგრამ
საინტერესოა ვისი გაბითურება სწილია თი-
თონ პოეტ-მკითხველისა თუ თავისი თავის?
კინჭარი.

ქართული ენის გაკვეთილები

როგორთი სკოლის ცხოვრებიდან

მასწავლებელი:—ვინ იცის გაკვეთილი?
მოწაფეები (ერთხმად):—მე ვიცი, მე ვიცი, მასწავლებელო!
მასწავლებელი:—აბა, შენ მითხარი ბიჭო, უკან რომ ხიხარ!
გერგეტაძე: ილიკო ჰავეჭავაძე იყო ისევე მწერალი, რომელ-
მაც რომა დასწერა „თორნიკე ერისთავი“. ერისთავი იყო თავადი,
ჰავეჭავაძეც იყო თავადი, რომელიც დაიბადა საგურამოში.
მასწ.: კიდევ რომელი მწერალი გავიგონია?
გერგეტაძე: გიგუაანთ კიკოლა, იი, აღმასკომში რომ განცხა-
დებებს წერას.
მასწავლ: მერე და შენ ოხერო, გიგუაანთ კიკოლა პოეტია?
გერგეტაძე არა მასწავლებელო, მწერალია. იი, ვერანა სულ
გადაბბულს წერავს რაღა!
მასწ.:—ოი დაგწყველოს გამჩენი, გაკვეთილზე ლანძღვა-გინე-
ნება გავიგონია, შე უზრდელი? (მიუბრუნდება მეორე მოწაფეს)
აბა, კრუხაძე, მართალია მათ ნათქვამი თუ რაგაა საქმე?
კრუხაძე:—ილიკე მწერალი, ისევე, პოეტო-მწერალი, ისევე
იყო, ეხლა რომ გარდაიცვალა და დიდუბეში დაასაფლავეს. ისევე
„ჩიბიკვის ქორწილი“ რომ დაწერა.
მასწავლ: ვინ იყო მერე ის მწერალი?

კრუხაძე: ვინ იყო და ეხლა რომ მოკვდა, მასწავლებელო, და
იუბილე გადაუხადეს!
მასწავლ:—ვაჟა-ფშაველა, ვაჟა-ფშაველა, შენ თავდასამიწე-
ბელო (ცოტა ხნის შემდეგ). ბავშვებო, მე ეხლა გადავდივარ ენის
ახსნაზე; ენა ორი აქვს აღამიანს: ერთი აი, ეს ენა (ყოფს გარედ)-
მეორე კი სალაპარაკო. აი, ხომ ხედავთ რომ ვლაპარაკობ.
მოწაფეები: გვესმის მასწავლებელო!
მასწავლ:—ჰო-და ამ მეორე ენიდან შედგება გრამატიკა. ენა
აზროვნების იარაღია. კარგად უნდა ილაპარაკო და იაზროვნო,
თუ ვინდა კარგად იცოდე გრამატიკა და პირიქით, თუ არ იცი
გრამატიკა, ვერც იაზროვნებ და ვერც ილაპარაკებ. ასეთია გრა-
მატიკის დიალექტიური კანონი.
გერგეტაძე (თავისთვის):—ვაა, ე დიალექტიკა რა ვერანა
ყოფილა?
მასწავლ: მაშ, საჭიროა, ყველაფერი ეს თუ გინდა შეისწავ-
ლო გრამატიკა და თუ არ შეისწავლით, ცხადია, არ გეცოდინე-
ბათ (მოწაფეები ერთი მეორეს განცვიფრებით უცქერიან). გაიგეთ
არა! (საერთო სიჩუმე) მაშ, ყველაფერი გასაგები ყოფილა, მოამ-
ზადეთ ხგალისათვის ეს გაკვეთილი.
გალაფო

გ ა მ ო ს ა ვ ა რ ი



ნ.ს. ღონის

საჩუქრო კოორპერაციის სამკერვალო არტელში
„ლაქების“ ჩვეულებამ „ნაჩაბ“ ისევ ფეხი მოკიდა (შპ. არტელ
„მოდუნა“)



ქოხმარებელი (გემბებელი): —მაცალეთ... რა მოგი ვიდათ... გავუდი ამ ძაღლს და გავიხსოვრდებით!

ჩვენი უდიდეს სატირიკოსს საბა-სულხან ღრბელიანს ერთი ასეთი პატარა ამბავი აქვს:

ჯოჯოხეთში დაუბავალი

იყო ერთი კაცი ყოფილი ბოროტის მომქმედი, მაგრამ დიდად მოლოცავი. რა ბოროტებისაგან მოცილიდა, დაიწყებდა ლოცვასა და ტირილს. სიკვდილის შემდეგ მასთან მივიდა ანგელოზი და უთხრა: შენი ავი საქმეების გამო ღმერთმა სამოთხე არ მოგცა. მაგრამ რაკი მოლოცველი იყავი, სამოთხის გარდა რაც ვინდა სთხოვე და ყველაფერს შეგისრულებს!

—რა კი სამოთხის ღირსი არ გავხი, დეე ჯოჯოხეთში ჩემს მეტი ნურავინ იქნება! — უთხრა იმ კაცმა ანგელოზს.

ღმერთი იძულებული გახდა სამოთხეში მიეცა მისთვის ათილი, რადგან ჯოჯოხეთს ვერ დაეკლიდა წაწყმდილებისაგან (სად უნდა მოეთავსებინა ისინი?)

მოდ, ამ კაცმა ერთხელ ღმერთთან გაბა მესაიფი და უთხრა:

—შენ თუ გგონია, რომ წარღვნას მოაზღვრე და ზოლშევიკებს წაღვკავ, ტყუილია!

—რატომ არის ტყუილი?

—იმპრომ არის, რომ მდინარეები რკინისა და ცემენტის კალაპოტში მოაქციეს, ნაბირებიდან ვეღარ გადმოიღიან. ზღვებიდან არხებით წყალი უდაბნოში გადაიყვანეს მოსარწყავად და ბაღები გააშენეს.

—სხვა რამეს ვუხამ, არ დავინდობ. რატომ ამზინებენ კოშკებსა და სასახლეებს? ნუ თუ არ იციან, რა დღე დაიწყენ ბაბილონის კოშკის ამზინებელთ? აურიე ენა, ერთმანეთის არა ესმოდათ, მიატოვეს კოშკის შენობა ასე ვუხამ მათაც.

—ისინი თვითონ სწავლობენ უცხო ენებს, სხვა ხალხის ენებს, ისინი უკვე ლაპარაკობენ უამრავ ენებზე.

—არცერთს არ ვაღიარებ სამოთხეს.

—რად უნდა შენი სამოთხე და ედიმი, როცა იქ ამაზე უკვეთესი სამოთხე და ედიმი გააშენეს.

—როგორ შექმნეს?

—კოლექტივებით.

—ოფლითა თავისითა პოულობენ ლუკმა შერსა!—გაბრაზდა მოხუცი.

—ჰმ! ოფლით კი არა, ღიღინებენ, იმღერებენ და ისე ამოშავებენ ტრაქტორს, რომელიც ასმაგად აძლევს უხვ მოსავალს. მანქანებს დაეუფლენ არა მარტო მამაკაცები, დედაკაცებიც მსობოქია, მაგრამ მეტად ნაყოფიერია შრომა მათი.

—აკი მე მათ დაუწესე, რომ კენჭითა და ტყვილით შობონ შვილი თვისნი.

—ვინ აქივს ყურადღებას შენს დაწესებას! ისეთი წამალი და საშუალება გამოიგონეს, რომ მშობიარობა სრულიად უმტკინვენელო გახდა.

—როგორც ჩანს, შენ მათი აგენტი ხარ.

—მათი აგენტი კი არა, მათი მტრების აგენტი ვიყავი, შპიონი. მეც შენსავით ვემტრობოდი მათ. მაგრამ ტყუილია ჩვენი იმედები.

—მიშველით!— დაიძაბა მოხუცმა ღმერთმა და გული წაუვიდა. გონებაზე მოსაყვანად აბულატორიაში წაიყვანეს.



შეიწყალე უფალი სათნო ხარ და კეთილი, ჩენთვის ლოცვებს აღვადგენ შენ წინ მუხლ მოდრეკილი ურწმუნოებს შენს ურჩებს აავს დავსხმი ღამითა, და დავდადრავ წარმართებს ყელს არიულ დანითა.

ორგოზ განათიანი თ ა გ ვ ი

ამ ხაში თვის წინად ერთი თავი შე-
მოგვერვი. მიუხედავად იმისა, რომ უთა
ველგვარი ზომები მივიღე მის წინააღ-
მდეგ, მტერი მაინც ვერ დაგამარცხებ.
არ ვიცოდი რა შექნა!
ერთ დღეს კარებზე მომხმბა კაკუბი.
გაუადე კარი თუ არა, ჩემ წინ მშვენიერ-
რი ახალგაზრდა ქალი იდგა, რომელმაც
ხალამის მოცემის შემდეგ შეშეკითხა:
— თქვენ ხევაში თავებია ხომ არ
არაიან?
ვთქვი, ხაიდან ვაიგო ამან ჩემი ვა-
ჭირება-მეთქი, და ვუთხარა:
— თავი არის, მაგრამ რამდენია ამ
ფოცი.
— მათი განადგურება ჩემს კიბრზე
იუოს!—მითხრა მან და რაღაც მოხეული
ცომა შედო ხასურხათო ვანჯინის ქვეშ.
მართლაც არ გახულა ორი დღე და ჩემი
გამანადგურებელი თავი შევდარი ვნახე.
ხიზარულისაგან დავეფლე ხელა, მარტო
შევა-ა-ამაშე და ხანავე უფთში გადავუდა-
ხე. ამის შემდეგ არ გახულა დადი ხანა
ისევე მეტყუარა ის ღამაზე ქალი.
— 40 მანეთა თქვენზე!—მითხრა მან
და ხელში ქვეთარი შემომარჩია
— რისი?—შევეკითხე, ვაკვირვებულმა
— რისი და თავის წამლის, მამასუხა
მან და დაუმატა:—თუ ნებით ამ გადის
დით, ხასამართლოს ხაშუალებით ავიღებთ.
ასე დამიგდა ერთი დავი 40 მანეთი.

გალეფონ-ავრომაგის ორნები

შოქალაქე მგლოვიარე ჭირსუფალივით
დაღერემილიყო და მიჩერებოდა ტელეფონ
ავტომატს. ხან ცნობის მოყვარობით ყოვე-
ლი მხრიდან ათეალიერებდა მას.
გავიდა ხუთი წუთი... ათი... ხუთმეტი, მაგ-
რამ იგი არ მოშორდა ტელეფონს.
—მოქალაქე, საჩქარო საქმე შექმნათუ არ
სარგებლობთ ტელეფონით, გთხოვთ დაგვით-
მოთ...
—რა? დაგიმო? დიდი სიამოვნებითა.
ჩამოდი ჩემი 60 კაპიკი და ინებე.
—მე თქვენი რა მმართებს!
—არც მე მმართებს კავშირგამბულობის
არაფერი, მაგრამ აგერ ექვსი ორი თეთრი
ორშაურნიანი ვადაუფვი შიგ და კაპიკისაც არ
დამილაპარაკია.
დაზარალებულებმა პროტესტი ვაუწყებ-
დეს კავშირგამბულობის დირექციის, რომ-
მელმაც მიიღო ზომები და ავტომატი შეეცე-
ლა. მაგრამ ახალ ავტომატი ფულს კი არ
ითვისებს, არამედ ლაპარაკის შემდეგ უკან
უბრუნებს მოქალაქეს. ახალა მოქალაქეები
უბარ ჩივიან, რადგან ისინი ინაღლებენ იმ
ფულს, რომელიც მათ ავტომატმა წინად გა-
მოსტყუა.

ორსართულიან შენობის წინ მოზრდილი ბიჭია გამართული. რიგში მდგომი ქალი მოემატა ბავშვით ხელში.

— რად დაუგვიანია ქა—იკითხა ახლად მოსულმა.

— თითქო არ სცალიანთო—ხმა არავენ გასცა...

ქალმა, რომელმაც გასაღები მოიტანა, რიგში მდგომელები გააფრთხილა:

— დინჯად შემოდით, ნუ მოაწყდებით, თორემ არავის მივცემ...
**

— ქა, ეს რა ჯანდაბად მინდა, იმ დღეს რომ წავიდე, ეს ხომ ის არის!

— მაშ ეს წაიღე.

— ეს საბავშვოა ბავშვები ჯერ არა მყვანან, არა მჭირდება.

— არც ეს გინდა?

— არც ეს არის საჩემო...

— რა დროს ვაჭრობაა, ნუ გვაცდენთ!

— რა არჩევა უნდა ყველა კარგია...

— კარგი თუა, შენ წაიღე—არ ისვენებ მომხმარებელი.

— წავიღებ, მომეცით, ამბობს უკანმდგომი და წინ მოიწვეს.

— ურიგოდ არ შეიძლება, არა—ისმის საერთო ხმა.

— კაცი უკან ბრუნდება...

— წითელი და შავი მომეცე—თხოულობს მომხმარებელი.

— წითელი და შავი მჭირდება—პასუხს იძლევა თანამშრომელი ქალი.

— დიახ, ყოველთვის აგრიბა, რაც კარგი შენა გჭირდება.

— აი ეს არის უკანასკნელი, წაიღე ხალხს ნუ აცდევინებ.

— მე თავმჯდომარესთან ვიჩივლებ, ე ბიჭიან ავდებ...—ცხარობს მომხმარებელი.

— ქა, რა შუაშია ჩემი ქმარი, იმან რა უნდა და ჰქნას. ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ გაძლევის და არ ღებულობს.—ჩაერია თავმჯდომარის ცოლი.

— ასეთები თქვენ აიღეთ, მე არ მჭირდება!—კაპასობს შეურაცყოფილი და გადის.

როორც წესია სახიოთახელო კანონებ დაიწესეს: ვისაც რა შეხედებოდა, იმ უნდა წაეღო. აიკრძალა ზედმეტი შევაჭრება. რიგ ხელმძღვანელობა ყველაზე უკან მდგომი იკისრა. ხმა ამოუღებელივ მოდიოდნენ, აბარებდნენ, ღებულობდნენ და მიდიოდნენ.

რამდენიმე კაცი და ქალიღა დარჩა. ოთახში სიწყნარე ჩამოვარდა.

— ყველაზე სქელი, რომელიც არის ის მომეცე!—თხოულობს ქალი ბავშვით ხელში.

— სქელები უკვე წაიღეს.

— მაშ ლეონიდის ღორი მომეცე.

— ლეონიდის ღორი მაშოს. ვაჯატანე.

— ჯანდაბანს, აი ვე თეთრი საყელო იყოს... ოთახში თანამშრომელი ქალი და მწყემსი დარჩა. მოსალამოვდა უკვე.

— ჩიკორი არა გაქვთ?

— ჩიკორი მიხას ბიჭმა წაიღო, ესლა დარჩა, თუ გინდა წაიღე.

— ვე რა ჯანდაბად მინდა, ვე ხომ იმ დღესაც წავიღე.

— სხვა აღარ არის, აბა, მე რა ვქნა... აი ამ დღეებში მივიღებთ ბლომად და მაშინ რაც გინდა მომთხოვე.

დაწესებულებაში მხოლოდ თანამშრომელი ქალი და ერთი წიგნიღა დარჩა. თმებს ისწო-



— ჩასა უმრავლი, ძალში ვეა ჩადიოს მავთულება, ამ გაუაფხულმა ვეგებ მე ამღარდეს.
— რა შივი მა! მე მისი ხმა არ გაგიგონია. თვეში ორ-სამჯერ კა ტანსავით აჩხავლდება და, არის... სარეცხის გასაწრობად მაინც გამომ ვიყენებ!

რებს ოფოს იწმენდს, ნერვებს იშვილებს: საბავშვო წიგნის ილუსტრაციის მდგომარეობიდან ნამდვილ აღამიანურ მდგომარეობაში გადადის. ქალი სკამს მიუჯდა, რაღაცას სწერს.

ოთახში საბჭოს თავმჯდომარე შემოვიდა.

— ვაჰ! რას უშვრებიან ამდენ წიგნებს!— ამბობს თავმჯდომარე.

— მე მინდოდა მეთქვა, რომ...— ამბობს ქალი.

— რა უნდა გეთქვა?

— მე უნდა მეთქვა, რომ...— განაგრძობს ქალი და ახლადმოსულს დაწერილ ფურცელს აწვდის.

თავმჯდომარემ წაიკითხა:

სოფ. საბჭოს თავმჯდომარეს. საბჭოთაველოს გამგის ვერა წითლიძის განცხადება.

მოგახსენებთ, რომ... თუ მცირე რაოდენობას წიგნებისა, რომელიც აქამდე ბევრადაც ვი მიგვანდა არ მიემატა ახალი წიგნების ამ დენივე რაოდენობა, ისე მუშაობა შეუძლებელია. იძულებული ვხდები ხალხს ვაწყენინო ამასთანავე ერთად მოგახსენებთ რომ საჭიროა მომიმატოთ ხელფასი, რადგანაც წინანდელთან შედარებით სამუშაო ძალზე პომემატა.

ვ. წითლიძე.

— ვნახოთ... მოვიმატებთ... აუცილებელი მოვიმატებთ.— მიუგო თავმჯდომარემ და განცხადების ყურზე რაღაც წააწერა...

მ. ბოგოლიუპოვი

დაუფასებელი ადამიანი

ვერზილინის ასაფლავებდნენ, დასაფლავების წინა დღით ადგილობრივი გაზეთის უკანასკნელ გვერდზე ასეთი განცხადება იყო დაბეჭდილი:

„დამამზადებელ პუნქტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ პუნქტის გამგის თანამშრომლის ძვირფას

ფიჩინილინის.

გარდაცვალების გამო.

სასაფლაოზე წარმოსთქვენს სიტყვები, მიქებდნენ მიცვალებულს.

—ალექსანდრე ალექსანდრეს ძე!—ჩაბეჭდებით დაიწყო პუნქტის გამგემ.—საშა! რატომ მოგვშორდით, შენისთანა ძვირფასს ყვეს ჩვენ ვერ ვიშოვნით!— პუნქტის გამგემ ჭარბეზო მიმოიხედა და დაბეჭდებით გაიმეორა:

—ვერა, ვერ ვიპოვი.

—დაე იყოს ხორბალი, უკაცრავად, მიწა დევირჩეს ზუმბულად, გამგე შესცვალა ადგილობრივი კომიტეტის შიგნითა, რომელიც უფრო საიუბილიარო სიტყვების წარმოთქმას იყო ჩვეული.

—სამკუთხედის სახელით მოგესალმებით, შვირფასო ამხანაგო ვერზილინ, ამ შენთვის სადღესასწაულო დღეს...

მაგრამ მან უცებ გამოასწორა და ბევრი ლაპარაკი ვერზილინის დაუფასებელი მოღვაწეობის შესახებ და დაასრულა:

—რაც გვაქვს ვერ ვუვლით, დაგვარავთ და ვტყობთ.

სალამოს კი დამამზადებელ პუნქტში ვაცხარა.—ოი მუშაობა წარმოებდა: ხორბლის გახმობა, დაბნევა, გაფუჭება და ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული ხარჯები ჩამოიწერა ვერზილინის ხარჯზე.

—დაახლოვებით ვერზილინის გუთუნის 2127 მან. 17 კაპ.—თქვა ბუხაპალტერმა.

—ძალიან კარგია.— ბრძანა გამგემ.—ვიტყვი, რომ ძვირფასმა მიცვალებულმა ეს თანხა გაფლანგა, მიუმატეთ კიდევ 300 მან. და ჩაფიქრალა.

—ჩვენ ყველა იქ წავალთ, საცა ვერზილინია, მხოლოდ სხვადასხვა დროს...

ივანე სერაფიმესძე, — შეაწყვეტინა ბუხაპალტერმა, — ნუ მოკვდებით... იცოცხლეთ... და თუ მაინცდამაინც გადაწყვეტთ სიკვდილს, გთხოვთ მოკვდეთ ბალანსის შედგენამდე, თქვენ ხომ მეტად დაუფასებელი და ძვირფასი ადამიანი ბრძანდებით!

ოცდაათი წლით ნაკლები

დიდი ქარხნის დირექტორს თავისუფალ წუთებში ყველაზე მეტად ახალგაზრდობაზე უყვარდა ლაპარაკი.

—განა წარმოვიდგენდით, რომ ჩვენ ასეთი შემცველი თაობა გვეყოლებოდა? ვწუხვარ, რომ არა ვარ 30 წლით ნაკლები. ლანაზია, ჯანსაღია ახალგაზრდობა, ენერჯით სავსე... გაგიჟებით მიყვარს სიახალგაზრდად.

მარამ ყველას უკვირდა, როცა კაბინეტის ხშირად გაისმოდა დირექტორის სიტყვები:

—აბა, რა მოხდა, რომ მუდამ ამეყობთ იმით რომ ახალგაზრდები ხართ? როგორი თქონის აზრით ეს არის ჩვენი მონაპოვარი, ჩვენი მიღწევები? მთავარი არა ახალგაზრ

დობაა, არამედ სამეურნეო ანგარიშია. თქვენ რომ 30 წლით მეტი იყოთ, ცხადია გამოცდილ ინჟინერად ავიყვანდით სამსახურში. დღეს კი თქვენთვის ადგილი არა მაქვს. ინებეთ! შეგიძლიათ მიმართოთ თვით კომისარს.

—პრაქტიკანტები, — ჩაილაპარაკა მდივანმა, მხოლოდ ნერვებს უფუჭებენ დირექტორს...

არქ. გუგოვი

მოხუცი

ეს იყო 90 წლის მოხუცი, ვერაფერს წვდივდა, არაფერი ესმოდა, როცა მისთან მოდიოდა რძალი კატო ვასილის ასული, მას ხელით შეეხებოდა და მხოლოდ მაშინ მიხვდებოდა, რომ მის წინ იდგა ქალი...

—კატო, — გაისმა მოხუცის ნელი ხმა.

—მე ვარ, რა გინდა?

—საქმელი...

—რაო? — შეეკითხა მოხუცს ქალი. — თუ შენ მაგიდაზე დაუდგო და კარი მიიხურა.

—განა ეს არის ცხოვრება? — ესაყვედურებოდა კატო თავის ქმარს, არჩიტვიტორს ოკუნოვს. — ვცხოვრობთ ორ პატარა ოთახში, სტუმრებს ვერ ვდებულვით და ეს ბერი კაცი მარტოდ ცხოვრობს ერთ ოთახში.

—ის მოკვდება და შენ ის ოთახი დაგრჩება. — ჩაერია ლაპარაკში შველი ვალია, რომელსაც ქათმის ფეხი პირში გაერჭო. — მოხუცებულები ჩქარა კვდებიან.

—არ შეიძლება ასე ლაპარაკი, ვალია. ის ხომ ჩვენი ბაბუაა, და ჩემი მამა! — სახეშეწითლებული უთხრა ოკუნოვმა ვალიას.

—მამა, მამა, წამოიხანა კატომ. — ყველას ყავს მამები. მაგრამ ისინი მაგდენს სჯამენ? კარაქი მიეცი, ქათამი აჭამე, ემსახურე, ისღოსამდე აუწია, ექიმი მოვიდა და ავად-

სილოა და არა მოხუცი. ქამს და სვამს, სვამს და ქამს, როგორც ბავშვი.

სალამოს ბავშვები რომ დაწინდნენ, ოკუნოვმა უთხრა ცოლს:

—მართლაც, რომ მოხუცებულნი ვარსკვლავი მაგრამ კაცია. ის ყოველთვის ასეთი იყო. ჩვენს ოჯახში 9 სულს გვარჩენდა, სხვათაშორის მოხუცებულები უცხად კვობიან. საჭიროა ცოტა გაციება, რომ ავად გახდნენ და სული განუტევენ.

—კუვდებიან, კვდებიან! — ბურტყუნებდა კატო. — ოთხი წელიწადია ეს მესმის და მოხუცი მაინც დღემდის არ მომკვდარა. ხომ გესმის, როგორ ხვრინავს და ძილს გვიფრთხობს.

ოკუნოვი ადგა და შევიდა მოხუცთან.

—რა დაგემართა, რომ ასე ხვრინავ და ძილს გვიფრთხობ? — გაჯავრებით უთხრა მან.

—კატო! — სიბნელეში გაისმა მოხუცის ხმა.

—ვინ კატო! ეს მე ვარ მე. რა გინდა მითხარი?

—გვერდებში რაღაც მტებს. ოი, ოი, მტებს გვერდებში!

—მერე რა გიყო? დაგაცალე ძილი. გაიგონე?

ოი თავის ოთახში დაბრუნდა და ბავშვებს გაუჯავრდა: არ გძინავთ? ჩქარა დაიძინეთ.

ერთი კვირის შემდეგ ოკუნოვი კუდად გახდა.

—რა დაგემართა? — შეშინებული შეეკითხა მას ცოლი.

—აბა რა ვიცი, თავი მტკიცა, მკონია სიციხე უნდა მჭობდეს.

სალამოს ოკუნოვს ტემპერატურა 40 გრადუსამდე აუწია, ექიმი მოვიდა და ავად-

გილიონური პასუხისმგებელი.



— ადგილი! პატარა ბრალდებული ში ბოძანდება!



— ხაკვირველი ხალხი ხართ შევიცარილები, — ნიხიად არ იძლევით ხაქონებს. — არ შემიძლია, ბატონო, თქვენ გერმანელი ემიგრანტი ხართ, და მე ამ ერთი თვის განმავლობაში უკვე სამი მოვალე მომპარეს!

ყოფი გასინჯა. ექვსი დღე უგრძობლად იწვა. და როცა მოიკეთა, მე-6-ე დღეზე არა-ზვეულეებრივი სიცოცხლე იგრძნო.

კუთხეში ერთი ლამპა.

კოსტიამ მეცადინეობდა. ვალია ვითომ ჩაის ასმევდა დედოფალსა და ებაასებოდა.

— მამა არ კვდება, არც ბაბუა?

— არა, — უპასუხა კოსტიამ, — ისინი არ კვდებიან. მამა თუ მოკვდა, დედა ბაბუას მისცემს ერთ კუთხეს. ჩვენ კი მის ოთახში გადავალთ. დედა ჩვენ მაგიდას დაგვიდგამს. ხომ კარგი იქნება? — ძალიან კარგი იქნება!

— უპასუხა ვალიამ, მაგრამ შეიძლება მამაზე თქვენსა, რომ ის მალე მოკვდება?

— შეიძლება, რატომ არ შეიძლება? ბაბუაზე თუ შეიძლება, რატომ მამაზე არ შეიძლება?

ოკუნოვს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ენა ჩაუარდა და სახეზე ცრემლი ჩამოიიდა.

მეორე დღეს ოკუნოვი შევიდა მამასთან:

— როგორ ხარ, მამაჩემო, ა, როგორ ხარ?

— შეეკითხა მოხუცს მწოლარეს და გვერდით მიუჯდა.

— პეტრე ხარ? — გაუღიმა მოხუცმა და მის ხელს ხელი შეახო. ცუდად ვარ პეტრე, ცუდად. ხომ ხედავ, რომ არ ვკვდები?

— რატომ უნდა მოკვდე? შენ კიდევ დიდ ხანს უნდა იცოცხო, მამაჩემო. ყველას უნდა და უხარია სიცოცხლე; ჩაი გინდა?

— არა, მე მინდა, რომ შენ ასე ახლო იჯდე ჩემთან, შევილო! — ოკუნოვმა ჩხირივით გამხმარი მამის ხელი გულზე მიიღო და პირველად ექვსი წლის განმავლობაში აღერსიანი თვალებით დაუწყო ცქერა მოხუცს.

თარ. ს. მ.

3. ტოგოლიაკოვი პუშკინისებური

ვალია დაინტერესდა პუშკინით.

— მალე იუბილე იქნება? — კითხულობს იგი. ალბათ მშვენიერი იუბილე მოეწყობა, ბანკეტიც იქნება? მიშოვნეთ ბილეთი!

— ჯერ აღრეა, ვალია, ბილეთზე ზრუნვა! თქვენ წაგიკითხავთ პუშკინი?

— არა!.. მაგრამ კინოში მინახავს!

— რომ წაგეკითხათ უფრო კარგი. იქნებოდა!

— ჰმ! კინოში არა სჯობია? უკეთ წარმოვიდგინო, ვიდრე წიგნიდან, მე ოპერაც მინახავს „ონეგინი“ რომ ქვია. კარგად მღეროდა. ხმამაღლა, მაგრამ ვერაფრით ვერ მომიგონებია ერთი მთავარი ადგილი, სახელდობრ თუ როგორი ფერის ბერეტი ეხურა ტატიანას?

— მალინისფერი! — უპასუხა მობაასემ

— მალინისფერი? ხედავ შეუკვეთ, ოო, როგორი ქვეყანა ხარ, ყველაფერი ვახსოვთ!

— თქვენც რომ წაგეკითხათ...

— ონეგინი, ნამდვილი დურაკია! ტატიანას თაფისაკენ რომ იტყუებს ჰმ! განა ტატიანა ისეთი სულელია, რომ მოტყუილდეს? წაპყვეს? დაუჯდეს და ნასკები უშტოფოს? უკაც რა ვადა, გენერალს წაყვება, საკუთარი ავტომანქანა, მშვენიერი ბინა, მისთვის მალინისფერი ბერეტიც არაფრად ღირს.

— რა იყო? მალინისფერი ბერეტი ეხურა არა? აუცილებლად შეიუკვეთ აუცილებლად.

ვალია უკვე დადის ახლა მალინისფერი ბერეტით და ყველას ეუბნება:

— ყველაზე უფრო ახალი მოდისაა, როგორც ლარინის ქალს ეხურა. როგორ არ იცი? პუშკინის თუბილეც ხომ მალე იქნება? ასეთი ბერეტი ალბათ ადვილად მოგხვდება იუბილეზე...

პუშკინი კი მას ჯერ კიდევ არ წაუკითხავს.

გამბე არის უიკსხალაუ, მისი საქმე როგორ ნაუ?

პორფილე უიკსხალავს სიზმარშია რომ დებოდა ნოქრობა. არ ვიცი ნატყუას — თუ რომ თუ რა თილისმა ედო ჯიბეში, ეს კი ვიცი რომ პორფილემ მიხანს შილწია. იგი დათნიშნა კოოპერატივის: გამბედ, მის მოადგილედ, ნოქრად, მოლარედ, ბუღალტრად მონაგარიშედ, მომმარაგებლად, ტრანსპორტის გამბედ და ინკასატორად.

თუმცა ნოქრისა ხელფასი მკირია, არადილია. მაგრამ თუ კი მას სინდისი მხოლოდ ფეხებზე ჰკლია, — გამოსარჩენი ბლომად აქვს რაღაც ჩუმად ვაუყიდა. რა ვუყოთ მეგრემ, რომ ზოგნი გამსახლისაკენ მიდიან.

პორფილემ პორფილემ გადაისვა ხელი წვერებზე, რომელიც დანამდვილებით არ ვიცი აქვს თუ არა, ჩაიკინა ულვაშებში (არც ეს ვიცი აქვს თუ არა) და შეუდგა მოლვაწეობას კოოპერატიულ მოლვაწეობას.

პორფილემ კოოპერატივის ჩაბარების მერე ორე დღესვე დილა ადრიან გასწია სვირისაკენ ლენის შესასყიდათ, ამ პირველ ოპერაციიდან ბევრი ვერ ახერხა: მხოლოდ 600 მისეთის ყალბი საბუთი ჩააბარა „გემს“.

ერთხელ გასტეხეს საეპრო და წაიღეს ყველა ის საჭონელი, რაც არ წაიღო პორფილემ თაფის სახლში. პორფილემ მართო ყვერილია მიშველეთ, ვილაკებს დოქანი გაუტეხიათო არც არის გასაკვირი. კაცს სად ეცალა კოოპერატივის მოსაგლეგლად, როცა რამდენიმე თანამდებობა აწვა კისერზე. ხუმრობა საქმიან კაცი ერთსა და იმავე დროს კოოპერატივში იყო გამბედ, მისი მოადგილედ, ნოქრად, მოლარედ, ბუღალტრად, მონაგარიშედ, მომმარაგებლად, ტრანსპორტის გამბედ და ინკასატორად?

გეზათ-გულუბნეთში მეტი კაცი არ იყო? — იკითხავთ თქვენ და დაუმატებთ: — როგორ მოხდაო?

ჩვენც ეს გვიკვირს და ჩვენც ამას ვიკებთ: —

პ. ონტიფელი.

ნან. გ. როსენბახი.



პინო-მსხანიოვი (რევისორს): — ერთ წელიწადს ხომ გიცადეთ ერთსაც კიდევ მოგაცდით და თუ კიდევ არ შეუდგით სურათის გადაღებას, — იცოდეთ ვაფიკებო



1. კრებას არც ერთი წევრი არ დაჰკლებია.

მომხსენებელი ცრემლიანი ხმით ლაპარაკობდა:

— ბატონებო, თქვენ ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ის გა-
ჭირვება, რომელშიაც არიან საწყალი ჯორები და ვირები ომის
დროს ისეთ ქვეყანაში, როგორც არას უგზო აბისინია. ჩვენი
ხალხთა მოვალეობაა პირობები შევუმსუბუქოთ მათ. ამიტომ უნდა
გავგზავნოთ რწმუნებული, რომელიც დახმარებას გაუწევს იმ
უბედურებს.. იმ საწყა... საწ...! — და მომხსენებელს ტირილმა ენა გა-
დაუკეტა.

ტიროდა მთელი კრება. ვარეშეს რომ დაენახა, ეგონებოდა—
შიცვალეულს სტარიანო.

2. გაცილებასაც არც ერთი წევრი არ დაკლებია.

დიდი ზეიმით გაამგზავრეს რწმუნებული.

— მისტერ ტლინკსტონ, — მიმართა რწმუნებულს საზოგადოების
თავმჯდომარემ — დიდა თქვენი მისხია. თქვენ მასხიად უნდა
მოევლინოთ საწყალ ჯორებსა და ვირებს, რომლებიც სამართლია-
ნად ითვლებიან ხალხთა ცხოველებად, რადგან ქრისტე მაცხოვარი
მათზე მოგზაურობდა. ვინც სასტიკად ეპყრობა მათ, სასტიკად და-
საჯე. არ ერთი შედმეტი კილო ტვირთი შესაძლებლობის გარეშე.
გადაეცი მათ ჩვენი თანაგრძნობა და სიყვარული.

აბისინიაში

ღირსეული პასუხი



— აიუ... აიუ, შე მგლის კერძა შენა!

— რაღა ეს ნაგავი ვატიროი უუმბარები ვზილა ის არ მირჩევნია!



— კაცო, რა მალე მოდის ეს დღესასწაულები, მომკლა აბანოში სიარულმა!—აწუწონდა გაყონ მაგიაძე.

— როგორ?

— როგორ და სახალწლოდ ვიყავი, ახლა მაისი მომავალია და ცოლი აღარ მასვენებს: აბანოში წადიო. ასე გონია, ბანაობის მეტი საქმე არა მაქვს!

მაინც ვერაფერი გააწყო. ხენწით აღვა და აბანოსკენ გაუდგა გზას. ბილეთი რომ იყიდა და აბანოს კარებს მიაღწა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ საცვლები დავწყებოდა:

— დასწყვიტოს ღმერთმა! რა წამიყვანს ახლა სახლში! ხომ მომკლავს ქალი ამ გულმავიწყობისთვის?!

ცოლის „მოსათაფლავად“ მან გზაზე კილო ახალი ყველი იყიდა და ტრამვაის შეახტა. ახალ ყველს წვენი გაუვიდა. გაყონის გვერდით მილიციელი ხვინგი ქერქაძე იდგა. ყველის წვენი მის ფარაჯას გადაესხა. ხვინგიმ ახალ ფარაჯაზე დაიხედა და გულს შემოეყარა.

— გასწი კაცო ეგ წვენი იქით! სწორედ ამ წუთში ჩავიცვი ფარაჯა!

— რა გოლი მოგდის შე კაცო? ყველის წვენი! მაგ შენს მუნდირს (ეს დაცინვით სთქვა გაყონმა) მოუხდება კიდევ, დაარბალებს!

ეს კი შეტისმეტი იყო. ამიტომ ხვინგიმ ბოროტმოქმედი ჩაიყვანა ვაგონიდან.

— საითკენ მიგყვარ გეთაყვა?— შეეკითხა გაყონი.

— იქ მოვილაპარაკოთ!— მოუჭრა ხვინგიმ და საგულშაგოში შეიყვანა. მორიგე იქ არ იყო.

— აბა, ერთი თქვენი პასპორტი!

გაყონმა პასპორტი ამოიღო. შიგ აბანოს ბილეთიც იყო. ხვინგიმ ბილეთს დახედა და თვალები გაუბრწყინდა. ქვითარზე სიტყვა-სიტყვით დაბეჭდილი იყო შემდეგი:

„აბანოების ტრესტი.
ძირედხ № 6.454
შიღებულება ჯარიმა № 11.226
დაჭერილია საათსა და ... წუთზე.
ვანთავისუფლებულია ... ს ... წ.
დააგვიანა ... ს. ... წ.
გადაიხადა ... მ. ... ჯ.“

მოლარე

„... 1936 წ.“

— მაშასადამე, შენ ჩემო კარგო, დღეს უკვე მეორეჯერ ყოფილხარ დაჭერილი!— მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა ხვინგიმ.— ვინ იცის, რა ჩაიღინე! აბანოში ბრძანდებოდა, არა?

— აბანოში? მინდოდა შესვლა... გამოტყდა ვაგონი.

— მერე?— შეუბღვირა ხვინგიმ.

— მერე და... რაღაც დამავიწყდა სახლში... ხვინგი ბილეთს ათვალთვალდა.

— ამ ბილეთის მიხედვით, რაღაც ბოროტმოქმედებისათვის, ალბათ ხულიგნობისათვის ჯერ დაუჯარიმებელი ხართ, მაგრამ ალბათ ჯარიმა არ გადაგიხდია, დაუჭერიხართ... აჰა, წაიკითხე: დაჭერილია საათსა და წუთზე“. შემდეგ გაუთავისუფლებიხართ (ალბათ თავი შეაბრალებს!), შემდეგ ისევ დაუჭერიხართ და კოოავ დაუჯარიმებინართ... მაშასადამე,

დღეს უკვე მესამეჯერ იდენ ბოროტებას!

— ათა კაცო, მე კი არ დაუჭერივარ, თითბე დავიჭირე ხომ...!

— დიან, როგორ არა!— ჩაიცინა ხვინგიმ, — აჰ, ამ ქვითარში სწერია ყველაფერი. საუბრე: აბანოში—ხულიგნობა, ტრამვაიში—ხულიგნობა... შენ ალბათ ოჯახშიაც ახდენ დებოშებს!

— რას ამბობ, ყმაწვილო?

— გიცით, გიცით! ის მითხარი, ღვინოს ხშირად სვამ?

— სადილზე ვსვამ ორიოდვე ჭიქას.

— გასაგებია: იმ ჭიქაში ალბათ კვარტზე მეტი ბრევი!

— არა ძმაო, ღვინის ჭიქაა! მაინც შენ ვინ გეკითხება...

ნახ. მარიაშის.

ხერხი სჯობია ღონესა



ტურისტულად ის ეწყობა ყალიონიც მოიხდინა, „ინტურისტის“ სახტუმროში სურს იშოვნოს საღმე ბინა

— ლაპარაკი! ახლა ეს მითხარი: ცოლზელი გყავს?

— მყავს... ველარ დამალა ნაწყალობა.

— ცოლს ხშირად სცემ ალბათ! ასეთი ფაფითი უმსგავსეობისთვის რამდენჯერ იყავი პასუხისმგებში?

— არც ერთჯერ!

— ყოჩაღ! ცოლს სცემს და პასუხისმგებლობიდან თავს იძვრენს. ეს მესამე.

— ბიჭოს! ეს ვის გადაეყვიდე? ვინ გითხრა ვცომო? არც მიფიქრია!

— დაწყნარდით ყმაწვილო! ახლა არ მითხარი, გერც ერთხელაც ვერ მიმცეს პასუხისმგებში? მაშასადამე, სცემ, მაგრამ მოხერხობულათ. ესეც შევთხე.

გაყონმა თავი ჩაქინდრა.

— მაინც თქვენ რაში მდებთ ბრალს?— იკითხა მან ბოლოს.

— რაში და იმაში, რომ აბანოში ხულიგნობის შემდეგ ტრამვაის ვაგონში შევიტინათ ტყლინტი ყველი, რომლის წვენის საშოალებით ბოროტად ასველებთ მოქალაქეებს. ყველამ რომ ტყლინტი ყველი შეიტანოს, მაშინ ხალხმა ქოლგებით და კალოშებით უნდა იმეზავროს და კონდუქტორებსაც ნაგებობით მოუხდებათ მიმოსვლა!

დამნაშავე დაიბნა. იგი წელში გატყდა. გზა აღარ ჰქონდა.

— მაშასადამე, ბოროტმოქმედება სახეზეა.— სთქვა ხვინგიმ და ოქმი შეადგინა.

„1936 წლის 16 მარტს, ტრამვაის ვაგონში, სვლიგევი № 20, რომელსაც მართავდა ვატმანი დაჯახებიანი, ხოლო კონდუქტორობდა მოქ. ხურდა დაუბრუნებლობი, ჩემს მიერ აღმოჩენილ იქნა უცნობი მოქალაქე, რომელმაც თავი გაასალა ვინმე გაყონ მაგიაძეთ ხსენებულ პირს აღმოაჩინა ყველი იმერული, გახეყოლი ცალფად, მუყაოს ქაღალდში, წონით ერთი კილო. მოკვლევის შემდეგ ყველი აღმოჩნდა წენიანი, რაც, ალბათ, ასველებდა მოქალაქეებს, ვინაიდან ვაგონის იატაკზე ნაპოვნი იქნა მხოლოდ ცხრა წვეთი ყველის წვენი. შემდეგი მოკვლევის შედეგად გამოირკვა, რომ წარმოდგენილი მოქალაქე არის რეციდივიტი, რომელსაც იმავე დღეს ჰქონია აბანოში ხულიგნობის ორი რეგისტრაცია, რომლის ქვითარი თან ერთვის. ამასთანავე განცხობებთ, რომ ხსენებული აღმოჩენილი მოქალაქე, როგორც თვითონ გამოტყდა, ლოთობს, ცოლსაც სცემს და პასუხისმგებას თავს აღწევს.“

გაყონი ოქმიითურთ მორიგე კამერაში გადაზავნეს, აი მიდის საწყალი გაყონი და ფიქრობს: „რა ეშმაკმა წამიყვანა აბანოში? ან ვინ ოხერმა შეადგინა აბანოს ბილეთი ისე, რომ მისი მყიდველი უსათუოდ ხულიგანი უნდა გვეგონოს?..“

გაყონმა სახლში ჯარიმის ორი ქვითარი მიიტანა: პირველი იყო აბანოს ბილეთი, ხოლო მეორე—ქვითარი ნამდვილი ჯარიმისა, ტყლინტი ყველით მოძრაობის წესების დარღვევის გამო.

აღლა-აღლა-აღლა.

მეფისტოფელს (ქ. მახარაძე):—თქვენი ლექსი „შოფერების ხალტურიადა“ ეხება ზოგიერთ შოფერებს, რომლებსაც გზებში „საკუთარი სადგურები“ აქვთ უბილეთო მგზავრებისათვის. ვბეჭდავთ ლექსის ნაწყვეტს:

შოფერებმა ხალტურაში
დაამყარეს რეკორდი.
უშახიან გზაში მგზავრებს;
ჩაგვისხედით, აქ მოდით.
ნახვარ, ფასს გამოგართმევ,
ვასეირნებ მანქანით,
ხომ იცით თქვენ როგორ გვიყვარს
ჯიბეში ჩვენ ქანქარა.

ეს ცნობა გადავუგზავნეთ ჩვენს რწმუნებულს ქ. მახარაძეში შესამოწმებლად. მინაწერი: ჩვენი ჟურნალის ერთერთ ნომერში მოთავსებულ ლექსში უწყინარი სტრიქონებით ვიხსენიებდით შოფერს ვალიკოს. ლექსს ზოგადი ხასიათი ჰქონდა და არ ეხებოდა მარტო ვალიკოს.

ბორისს (აქვე). იწერებით: „ტფილისის მეოთხე სანიმუშო სკოლის სანიმუშო შენობის სანიმუშო სამახწავლებლოში სიცხის ხანმოშო ბული დვას. საკლასო ოთახებში კი სანიმუშო სიცივეა და სანიმუშოდ კანკალებენ“.

რალა უჭირს სკოლის ადმინისტრაციას, ყოილაფერი „სანიმუშოდ“ ქონია დაყენებული, მაგრამ ყველაფერზე უფრო „სანიმუშოდ“ გამოუყენებია ხალხური ანდაზა: **ჯერ თავი და თავი, მერე ცოლი და შვილი.** დაიკადეთ შეილებო (მოწაფებო) თქვენი რიგი თუმცა ჯერ არ დაბდარს, მაგრამ, როდისმე მაინც დადგება. ალბათ ამ დადგომას უცდის ტფილისის განათლების განყოფილება და გაზაფხულის მოლოდინში თავს ინუგეშებს:


თუ საჩქეში მე არ ჩავერიე, არა უშავს, შვი მაინც ჩავერევა!

ქაშან ცინკარელს (სოფ. ძვ. აბაშის რ.)—წერა გეხერხებათ. ვაქვეყნებთ თქვენი წინადადებების თანახმად ჩვენს გოდორში თქვენს „მეფურნე ბოქსიორს“ (შემოკლებით), რადგან თქვენი გმირის დათიკო მეფურნისათვის (და არა კერძოთ თქვენი ლექსისთვის) უფრო საკადრისი ადგილი არც არსებობს:

ჩვენმა მეფურნე დათიკომ
ბოქსით გაითქვა სახელი;
დიანოზს გაკრა-გამოკრა,
შიგ ჩაუქცია ნადველი.
ფული ემართა დიანოზს,
დათიკომ უწყო გინება.
ამან წარმოშვა მათ შორის
საშიში განწყობილება.
გინებას მოყვა ყვირილი,
დიანოზს გაკრეს ცხვირშია
და გადაუშვეს ბარბაცით
ლაფით ავისილი თხრილშია.
დაღის „გმირივით“ დათიკო
და სუნთქავს სოფლის შავსა,
კიდევ მუშტს უღერს ბრაზითა
დიანოზს პერტენავასა.

ასეთი ხელოვნობა ლექსისთვის წერილობა-ნია და სჯობია მისი პროზად დაწერა საკირო ასწრა-განმარტებით.

ჩხარმლს. (ჩხარი):—თქვენი წერილის მიხედვით ჩხარის სასტუმროს გამგე ყოფილა ვინმე ტიმოთე ბარბაქაძე, რომელიც ისე დაუფლებია მას, რომ თვით სასტუმროსთვის



—რა კარგი ხატვა ვისწავლია შვილო, შორიდანვე ეტყობა რომ ძროხა დაგინატავს!
—შეუტყობა, მაშ რა იქნება? საბავშვო წიგნის ილუსტრაციას კი არ ვაკეთებ!

მის სახელად „ტიმოთეს სასტუმრო“ დაურქმევიათ.

მოგვყავს ებიზოდი ტიმოთეს „გმირობისა“, რომელიც მას გამოუჩენია კომკავშირის რაიონულ კონფერენციის დროს:

დღეუვატები რომ ნახა,
თავში გაუჩნდა „უგარი“.
არ მიიკარა ბინაზე,
გამოისტუმრა მუქარით.

ჩვენ მაინც გვიკვირს, რამ წავახდინათ ჩხარელი კომკავშიროლები. მენშვეციკების გამოსვლის დროს 24 წელში ჩხარიდან შეიარაღებული ბანდები რამდენიმე წუთში გარეკეთ რა ერთი ტიმოთე როგორ ვიმავრდებათ?

პაპაქი თ-ს:—განყენებულია. არ დაიბეჭდება.

ბიძს (აქვე):—ვინ არის ის უორეიკა, რომლის შესახებაც იწერებით:

ახლა ციხეში ბრძანდება,
„ხულის“ საქმე კი არა ჩანს.
შენ კი ხიანგ შენებურად
წამოაგე უორეიკ ჩანგალს.

საბჭოთა კავშირში გამასწორებელი საწილებია და ციხეები. „სულიც“ მეტად უხეშა გამოთქმაა. ჯერ წერა ისწავლეთ და მწერლობას შემდეგ შეუდგეთ.

ქ. ცხალს (საღდაც). მერცხლის გამოჩენას, თუ კი ის მართლა მერცხალია, ჩვენ სოხარულით ვეგებებით. საამურია მისი ქიკიკა, თუ კი ასე არ იქიკიკებს:

წაიღარს კრიტიკა მახვილი
იუმორულ ყაიდაზედა.
ნოანგოჯან ყური მიგდევ,
თუმც არ ვარ ხასიათზედა.
ჩვენც წაგვიხდა ხასიათი.
აწ დრო ბლომად მაქვს
ხოოი მოვმართო თქვენსკენა,
შვად ვარ, რომ გავიმართლო
და შევქნა საერთო ენა.

თუ დრო ბლომად გაქვთ, სხვა საჩქეს შობა-ხმარეთ ის. ასეთი შემოქმოების ნიშოშებით, ტყუილია, ჩვენთან ვერ ნახავთ საერთო ენას ამისთვის საჭიროა მეტი შრომა, მეტი კითხვა, მეტი მომზაობა და შემდგომ... ენახეთ.

ჩვენს ჟურნალში შეთავსებული მახალა სოფ. სხვაგვად (ქრუხალის რ.) მასწ. იულია პეტროშვილის მიერ კომენტურნობაში შრომადღებებს მითვისების შესახებ არ დადასტურდა.

რედაქცია სთხოვს ამხანაგებს, რომლებიც მასალებს გამოგზავნიან დასაბუჯად, შეამოწმონ ცნობები. წინააღმდეგ შემთხვევაში რედაქციას არ შეეძლება გამოიყენოს მეტად საინტერესო მასალაც კი.



ავანიწილი: — ცხუმორფონე არა ვარ, მაგრამ მართლაც კვირები და უმეტესი მოწილა რიწიში "13", ამიტომაც ვერაწერი უმსლო "ცამებთა კომიბებმა".